

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“



სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა

2020-2026 წ

## მისია

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“, სწავლების თანამედროვე მეთოდები დანერგვით უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მაღალი დონის მიღწევას რეგიონისა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის.. კოლეჯი ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებასა და დასაქმებაზე.

## ხედვა

მოქნილი საგანმანათლებლო დაწესებულება, თანამედროვე ინფრასტრუქტურა, და საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც წამყვანი იქნება რეგიონში, ექნება მაღალი ნდობა და აღიარება.

## ღირებულებები

კოლეჯი, პროფესიული განათლების როლის გათვალისწინებით სტრატეგიას აფუძნებს შემდეგ ღირებულებებსა და პრინციპებზე:

- სწავლების ინოვაციური მიდგომები
- კეთილსინდისიერებაზე, სამართლიანობაზე, პასუხისმგებლობასა და ურთიერთთანამშრომლობაზე დამყარებული პროფესიული სწავლება
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

2020-2027 წლის სტრატეგიული გეგმა ასახავს სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ განვითარების ძირითად ასპექტებს, რომელიც დაწესებულების მისიის განხორციელებისათვის განსაზღვრულია სასწავლებლის მომავალი შვიდი წლის განვითარების პრიორიტეტები, სტატეგიული მიზნები და ამოცანები .

## დაწესებულების მოკლე აღწერა

სსიპ კოლეჯს „ლაკადა“ რამდენიმე ათეული წლის მუშაობის გამოცდილება გააჩნია. ის დაარსდა 1983 წელს, როგორც პროფესიული ტექნიკური სასწავლებლი. არსებობის პერიოდში სტატუსი რამდენიმეჯერ შეიცვალა. კერძოდ, 1993 წელს მრავალდარგოვან სახელმწიფო კოლეჯად გადაკეთდა, 2007 წელს პროფესიული სწავლების ცენტრად. 2011 წლის მაისიდან კი ფუნქციონირებს, როგორც სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“. 2019 წლიდან ფუნქციონირებს, როგორც სსიპ კოლეჯი „ლაკადა“.

კოლეჯი ამ ეტაპზე ახორციელებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ მრავალპროფილიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს: ინჟინერიის, ბიზნისის ადმინისტრირების, აგრონომიის, სასურსათო ტექნოლოგიასა და სამრეწველო ინჟინერია და მართვის სისტემებში . პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი დიპლომი. ყველა მიმართულებებთან ერთად კოლეჯი ორიენტირებულია ენერგეტიკა და ელექტროენერჯის მიმართულებების განვითარებაზე და ამ სფეროში კვალიფიციური კადრების მომზადებასა და დასაქმებაზე.

კოლეჯი მდებარეობს ოკუპირებული აფხაზეთის სასაზღვრო ტერიტორიასთან, მისი ამოცანაა პროფესიული განათლების პროგრამის, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება - გადამზადების პროგრამების განხორციელება და მასში როგორც ადგილობრივი ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა ჩართვა. დაწესებულებას ამ მხრივ გააჩნია შემდეგი მაჩვენებელი: ყოველი წლის მიღებაზე (საგაზაფხულო, საშემოდგომო) ჩარიცხულ სტუდენტთა 40% -ს საშუალოდ აფხაზეთიდან დევნილი პირები წარმოადგენენ, ხოლო 25-30 % - ს შორის მერყეობს ოკუპირებული ზონის მაცხოვრებლები

## SWOT ანალიზი

SWOT-ანალიზი გულისხმობს შიდა გარემოს გამოკვლევას ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე შესაძლებლობების, საფრთხეების და რისკების განსაზღვრას გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

<h3>ძლიერი მხარე</h3>	<h3>შესაძლებლობები</h3>
<ul style="list-style-type: none"><li>• კოლეჯის მრავალპროფილიანობა</li><li>• პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი;</li><li>• ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდაჭერა</li><li>• კეთილმოწყობილი, თანამედროვე სასწავლო გარემო;</li><li>• საკუთარი შენობა</li><li>• პროფესიული მომზადება და გადამზადება ნებისმიერი ასაკის შრომისუნარიანი ადამიანებისათვის.</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>• პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებებში აქტიური ჩართვა.</li><li>• სწავლების ხარისხზე ორიენტირება</li><li>• შრომის ბაზრის შესაბამისი კადრების მომზადება</li><li>• პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.</li><li>• პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციის ამაღლება</li><li>• ინოვაციური ლაბორატორიის საშუალებით სტარტაპების ჩამოყალიბება</li><li>• ინოვაციური ლაბორატორიის საშუალებით ინტეგრირებული სასწავლო პროგრამების განვითარება სხვადასხვა სპეციალობებში</li></ul>
<h3>სუსტი მხარეები</h3>	<h3>საფრთხეები</h3>
<ul style="list-style-type: none"><li>• სტუდენტების მცირე კონტინგენტი;</li><li>• აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე სარეკლამო კამპანიის შეზღუდული მასშტაბები;</li><li>• გაცვლითი პროგრამების არარსებობა</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>• ეკონომიკური ზრდის შესაძლო შენელება</li><li>• ხშირი ცვლილებები სისტემაში</li><li>• სტუდენტების საბაზო და საშუალო განათლების დაბალი დონე</li><li>• მიგრაციის პროცესები</li><li>• რეგიონის სოციალ-ეკონომიური ფონი</li></ul>

### სტრატეგიული მიზნები:

- ჩარჩო დოკუმენტზე დაფუძნებული მოდულური პროგრამების დაგეგმვა/განხორციელება/მათ შორის ზრდასრულთა მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების განხორციელება.
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფა
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
- ინფრასტრუქტურის განვითარება:
- ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია

### 2020-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების გრაფიკი

N	სტრატეგიული მიზანი	ამოცანები	განხორციელების ვადები								შესრულების ინდიკატორი	შენიშვნა
			2020	2021	2022	2023	2024	2025	2026			
1	2	3	5	6	7	8	9	10	11	12	14	
1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა-განხორციელება/მომზადება გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების დაგეგმვა განხორციელება	ბაზრის კვლევა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	კვლევის შედეგების ანალიზი	
		ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების განხორციელება/ განვითარება			✓	✓	✓	✓	✓	✓	საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაცია სასწავლო პროცესის მონიტორინგი	
		საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების / ზოგადი განათლების ინტეგრირებული პროგრამების შემუშავება-განხორციელება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაცია	
2	ხარისხის შიდა უზრუნველყოფა	სტუდენტის შეფასების სისტემის უზრუნველყოფა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	შიდა ვერიფიკაციის შედეგები	
		ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის განვითარება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	შონიტორინგის შედეგი გაუმჯობესების გეგმა	
		ადამიანური რესურსების განვითარება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	თანამშრომელთა შეფასების სისტემა	

3	პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	პროფესიული სტუდენტთა კარიერული განვითარება					✓	✓	✓	კვლევის შედეგების ანალიზი	
		საზღვრისპირა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	ჩატარებული ღონისძიებები	
		პროფესიული სტუდენტების მომსახურების გაუმჯობესება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	გაუმჯობესებული მომსახურება	
4	ინფრასტრუქტურის განვითარება:	ელექტრონული სწავლების სისტემის განვითარება;	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	შექმნილი ელექტრონული სწავლების სისტემა	
		სასწავლო ფართის გაზრდა		✓	✓	✓	✓	✓	✓	გაზრდილი სასწავლო ფართი	
		სასწავლო სახელოსნოების განახლება განვითარება			✓	✓	✓	✓	✓	განახლებული სასწავლო სახელოსნოები	
		დამატებითი ნაგებობის მშენებლობა (კვების ბლოკი)			✓	✓	✓	✓	✓	ამენებულია ნაგებობა კვებისბლოკისთვის	
5	ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია	სასწავლო საწარმოების დაფუძნება და განვითარება.	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	დაფუძნებული სასწავლო საწარმოები	
		დაფინანსების წყაროს მოძიება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	გაზრდილი დაფინანსების წყარო	
		ინოვაციური ლაბორატორიის საშუალებით სტარტაპების ჩამოყალიბება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	გაზრდილი დაფინანსების წყარო	